ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA010141044563716

№16/17078

29 / იანვარი / 2016 წ.

შპს სხივური მედიცინის ცენტრი.

საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს
რაიონში, ლისის ტბის მიმდებარედ, №4 (ოთახი
№301)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი 7 წერილის პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის შესახებ.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3-979/07
"28" 01 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის (საკ. კოდი №01.14.16.015.291) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სამედიცინო ცენტროს „ა" ბლოკი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №2319194 16.12.2015წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-7" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე „6-7" მონაკვეთში შესალესია და შესაღებია კედელი. „1-2" მონაკვეთში არა მოწყობილი სარეკლამო აბრა.

„7-1" ფასადი: ±0.00 ნიშნულზე „7-6" მონაკვეთში „6-6" ღერძთან არ არის მოწყობილი სრულად კედელი. +9.035 ნიშნულზე „6-5" მონაკვეთში ლიფტის სამანქანო ოთახზე დამატებით მოწყობილია კარი და ფრამუგა.

„თ-ა" ფასადი: +9.035 ნიშნულზე „ზ-ე" მონაკვეთში გაზრდილია შახტის გაბარიტი.

„ა-თ" ფასადი: შეცვლილია რელიეფის დონე. „ე-ზ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია გამწოვი მილი, ასევე „ბ-გ" მონაკვეთში +2.955 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ცხაური, ხოლო „გ-დ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია გამწოვი მილი. +9.035 ნიშნულზე „ე-ზ" მონაკვეთში მოავჭირის ნაცვლად მოწყობილია მსუბუქი კონსტრუქცია ტიხარი, ხოლო „დ-ზ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ცხაური.

„5-4" მონაკვეთში „თ-თ" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია ლითონის კიბე. „დ-ე" და „6-7" მონაკვეთებს შორის ლითონის კიბეს მონაცვლებული აქვს ადგილი და შეცვლილია მისი გაბარიტი, იგივე მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია ელ. დანადგარი, ხოლო „ა-ბ" და „6-7" მონაკვეთებში არ არის მოწყობილი ლითონის კიბეები. სახურავზე ნაწილობრივ გაზრდილია შახტის გაბარიტი, ასევე შახტებზე დამატებით მოწყობილია თუნუქის სამკუთხა გადახურვა.

არ არის მოწყობილი სრულად ღობე.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის,

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „სხივური მედიცინის ცენტრი“-ს, ზურაბ ზაუტაშვილს, ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის (საკ. კოდი №01.14.16.015.291) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სამედიცინო ცენტროს „ა“ ბლოკი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №979/07 05.01.2016წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე **გიორგი გეჯაძე**